PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ -კოლეჯი „აისი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრი:

ია გელენიძე

(თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „აისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2021 წლის 2 მარტს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარდგენილ იქნა განაცხადი სსიპ - კოლეჯი აისის მიერ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტ, სოფელ სამრეკლოში საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N267820 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილ იქნა დაწესებულების მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

მიმდინარე წლის 17 აპრილს, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom-ის გამოყენებით განხორციელდა დისტანციური წარმოება. გასაუბრების განრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; პროგრამის ხელმძღვანელთან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/განმახორციელებლებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება. დისტანციური წარმოების განმავლობაში ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ინდიკატორი 2

რეკომენდირებულია, შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებდეს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ყველა არსებით პირობას, უფრო კონკრეტულად კი წარმოდგენილ ხელშეკრულებებში ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია „ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით“, ასევე რეკომენდირებულია თითოეულ მასწავლებლის ხელშეკრულებებში ეწეროს რა მოდულებს ახორციელებენ ისინი.

დაწესებულების განმარტებით, გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ინდიკატორი 2

რეკომენდირებულია ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავდეს, ანუ ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელიც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობს.

დაწესებულების განმარტებით, გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მითითებულია ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით, უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დაწესებულების განმარტებით, არსებული ტექნიკური ხარვეზი გასწორებულია, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ორ ადგილას ვხვდებით 120/ნ ბრძანებასთან დაკავშირებით ჩანაწერს. მაგალითად, ერთი ასეთი ჩანაწერია მარეგულირებელ დოკუმენტში: „კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;“

შესაბამისად, რეგულაციების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაწესებულების მხრიდან შემუშავდეს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაწესებულების შიდა აქტებისა და პროცესების შესაბამისობის დროულ უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, სრულად არ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:

- მოდული „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ მოიცავს საექთნო მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების განმარტებას (მენეჯმენტის ძრითადი ამოცანები; მენეჯმენტის პროცესი; ლიდერობა, სწორი მენეჯმენტი) და ორგანიზაციული ქცევისა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტის პრინციპების აღწერას (ორგანიგრამის გეგმა და ინფორმაციის გავრცელების გზები; ადამიანური რესურსის მენეჯმენტი). მოდულით გათვალისწინებულია მხოლოდ საექთნო საქმისა და შინაგან სნეულებებთან დაკავშირებული სასწავლო რესურსები. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მოდულში „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ მითითებული სასწავლო რესურსი არასაკმარისია და უკვე მუშაობენ სასწავლო რესურსების დამატებაზე.
- მოდული „უცხოური ენა - საექთნო საქმეში“ ერთ-ერთ სწავლის შედეგად ითვალისწინებს პროფესიასთან დაკავშირებული საკითხების პრაქტიკულ გამოყენებას, ხოლო სასწავლო რესურსად გაწერილია მხოლოდ ზოგადი ინგლისურის წიგნები. უცხოური ენის მოდულის განმახორციელებლის განმარტებით, სასწავლო პროცესში დამატებით გამოიყენებს ინტერნეტში მოძიებულ სხვადასხვა მასალას პროფესიული ტერმინოლოგიის სწავლების მიზნებისთვის. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა პროფესიული ტერმინოლოგიის შესწავლისთვის ელექტრონული სასწავლო რესურსები, თუმცა აღნიშნული რესურსები მოდულში მითითებული არ აქვთ. შესაბამისად, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია გავლენას ვერ ახდენს ინდიკატორის შეფასებაზე.
- მოდული „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“ ერთ-ერთ სწავლის შედეგად ითვალისწინებს პრეზენტაციის უნარების დემონსტრირებას, თუმცა ამ სწავლის შედეგზე გამსვლელი ქართულენოვანი რესურსი მითითებული არ აქვთ.
- მოდული „ბიოქიმია“ სასწავლო რესურსად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ ბმულს, რომელიც არ წარმოადგენს სასწავლო რესურსს. ინტერვიუირებით ირკვევა, რომ კოლეჯს აქვს ბიოქიმიის სახელმძღვანელოები, თუმცა ისინი მოდულში გაწერილი არაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შესაბამისად, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამით საგანმანათლებლმა რესურსმა სრულად უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, მოდულებში უნდა იყოს მითითებული ყველა სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო რესურსი. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სტანდარტის ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

3. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისათვის განმახორციელებელი მედ პერსონალის შერჩევა. კლინიკის მიერ საექთნო განათლების პროგრამისთვის შერჩეული განმახორციელებელი პირები უნდა შეესაბამებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი/ექთანი. შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კლინიკურ სწავლებაში უნდა ჩართოს შესაბამისი კვალიფიკაციის 2 პირი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 4 პრაქტიკის ინსტრუქტორის პირადი საქმე, რომლითაც დასტურდება მათი განათლება. ერთ პირს დამატებით უდასტურდებოდა სამუშაო გამოცდილება. სხვა დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდებოდა ექთნის მიმართ წაყენებული სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობები. მიუხედავად ამისა, კლინიკურ სწავლებაში ჩართულ პირებს სრულად არ უდასტურდებათ საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტითა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღრული საკვალიფიკაციო მოთხონები.

შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კოლეჯის მიერ დაკონტრაქტებული მედ პერსონალი ვალდებულია კლინიკის ბაზაზე მომსახურება გაწიოს პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ვადებში, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორებთან არ ხორციელდება ხელშეკრულებების გაფორმება.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

3. პროგრამის შესაბამისი მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. თუმცა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სასწავლო რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება, რადგან მოდულები სრულად არ ითვალისწინებს რელევანტურ სასწავლო რესურსს და არც პრაქტიკის ინსტრუქტორებს უდასტურდებათ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამით საგანმანათლებლმა რესურსმა სრულად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, მოდულებში უნდა მიეთითოს ყველა სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო რესურსი.

განვითარების რეკომენდაცია

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პროგრამით გაწერილია ხელმძღვანელის ვინაობა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხელმძღვანელის ხელშეკრულებაზე შეთანხმება, თუმცა რეგულაციით არ იკვეთება, თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან შერჩევა, ან დამტკიცება. შესაბამისად, აღნიშნული სასურველია გაიწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპები, განსაზღვრულია ის დოკუმენტები, რომლებიც უნდა დაერთოს პროგრამას. ერთ-ერთ დასართავ დოკუმენტად გაწერილია „ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გაწერილი უნდა იყოს არანაკლებ 3წელზე.“ აღნიშნული ვერ იქნება პროგრამის დანართი. ის შეიძლება იყოს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმის შემუშავებისას გასათვალისწინებელი გარემობა. შესაბამისად, სასურველია რეგულაციაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის მოდულები მოიცავენ ინფორმაციას მოდულზე დაშვების წინაპირობების შესახებ, თუმცა არ არის გათვალისწინებული ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებული ბოლო ცვლილებები. კერძოდ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის N93013 ბრძანებით ცვლილება შევიდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის №407/ი ბრძანებაში. მოდულებზე დაშვების წინაპირობები ნაწილობრივ შეიცვალა, რომლებიც არ არის ასახული მოდულებში. მაგალითად, ჩარჩო დოკუმენტით ფარმაკოლოგიის მოდულზე დაშვების წინაპირობაა ბიოქიმიის და მიკრობიოლოგიის მოდულები, როდესაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდული დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს შემდეგ მოდულებს: ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში. მსგავსი შეუსაბობები არის რამდენიმე თეორიული სწავლების მოდულში. ასევე, ცენტრის დირექტორის ბრძანებით რამდენიმე კლინიკურ მოდულს დაემატა დაშვების წინაპირობად ავადმყოფის მოვლის მოდული, რომელსაც დაშვების წინაპირობად არ მოიცავს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული მოდულები. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტის დანართი N2-ით „მოდულებზე დაშვების წინაპირობები და სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ განსაზღვრულ წინაპირობებთან.

8. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა სასურველია მოიცავდეს ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომრის შესახებ, რომლის საფუძველზეც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Reader Free

შემუშავებულია პროგრამა. ასევე, სასურველია პროგრამის სტრუქტურა სრულად მიყვებოდეს ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურას.

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში პროგრამის მიზანი ცალკე პუნქტად გამოყოფილი არაა. ის არის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შემადგენელი ნაწილი. სასურველია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ვერ იქნება პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რადგან ის ჩარიცხვის წინაპირობაა, სასურველია აღნიშნული გასწორდეს პროგრამაში და დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სრული ზოგადი განათლება.
- გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ განსაზღვრა პრაქტიკული სწავლების პროფესიული მოდულების განხორციელების ადგილი, შესაძლებელია პროგრამის სტრუქტურის და მოდულების ნაწილში დაკონკრეტდეს განხორციელების ადგილი და არ დარჩეს შემდეგი ჩანაწერი: „შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კლინიკაში“.
- სასურველია პროგრამაში მოდულთა სტატუსები არ შეიცვალოს და ისინი ზუსტად გამომდინარეობდეს საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტიდან. მაგალითად, პროფესიული მოდულების ნაცვლად, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია „პროფესიული/დარგობრივი მოდულები“.
- პროგრამით განსაზღვრულია, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება ხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით, თუმცა სასურველია ჩარჩო დოკუმენტის მსგავსად გათვალისწინებული იყოს, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით.
- პროგრამა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - ამავე პროგრამაში მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მე-12 პუნქტად გაწერილია შემდეგი: „12. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები“. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- პროგრამას დანართების სახით გაწერილი აქვს მოდულებზე ინფორმაცია. მატერიალურ რესურსებზე ინფორმაციას მოიცავს დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი. გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადი არ არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, პროგრამა დანართის სახით უნდა ითვალისწინებდეს მატერიალურ რესურსზე ინფორმაციას.
- პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ჩანაწერს: „პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება არანაკლებ 75 %-ით.“ ზოგად მოდულებში გამსვლელ ზღვრად გათვალისწინებულია 51%. შესაბამისად, პროგრამასა და ზოგად მოდულებში არსებული ჩანაწერი, სასურველია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს.
- მოდულების დიდ ნაწილში შეფასების მეთოდად გაწერილია წერითი მეთოდი, ხოლო მტკიცებულებად გაწერილია „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება“, თუმცა მტკიცებულებათა დაკონკრეტებისას უთითებს ძირითადად წერილობითი ფორმით მიღებულ მტკიცებულებათა ნიმუშებს. მაგალითად შინმოვლის მოდულს შეფასების მეთოდად გაწერილი აქვს წერითი მეთოდი, ზეპირი გამოკითხვა, ხოლო მტკიცებულად გაწერილია: „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება - წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს და კომპეტენციას“. საექთნო მენეჯმენტის საფუძლებში შეფასების მეთოდად გაწერილია პრეზენტაცია, ხოლო მტკიცებულებად „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება - წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი (ტესტი)“. შესაბამისად, მიზანშეწონილია შეფასების მეთოდი და მტკიცებულებები გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან.
- მოდულის „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ სტანდარტული ჩანაწერები არ მოიცავს მე-5 და მე-6 სწავლის შედეგებისთვის შეფასების მიმართულებებს, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია გაწერილია ჩარჩო დოკუმენტით. სასურველია გასწორდეს მოდულში არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- ქართული ენის მოდულებში გაწერილია, რომ როლური თამაშების სხვადასხვა ეტაპზე დაკვირვების გზით დგინდება პრაქტიკული უნარები და დასტურდება დაკვირვების ჩანაწერის მეშვეობით, თუმცა აღნიშნული არ იკვეთება შეფასების მიმართულებასა და ინსტრუმენტებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მოდულთა ნაწილს მითითებული აქვს განხორციელების ადგილი. შესაბამისად, სასურველია არსებობდეს ერთიანი მიდგომა, ან ყველა მოდულს მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი, ან აღნიშნული ინფორმაცია ცალკე დოკუმენტში გაიწეროს.
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 3 თებერვლის N55016 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ქართული ენის მოდულების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 02 ნოემბრის №695 ბრძანებაში და შეეხო მოდულების განხორციელებისა და შეფასების შესაძლებლობების განსაზღვრას დისტანციურ რეჟიმში. აღნიშნულ ცვლილებებზე ინფორმაცია არ არის ასახული მოდულებში. შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიწეროს შესაბამისი ცვლილებები.
- სასურველია პროგრამაში მოდულზე დაშვების წინაპირობები გასწორდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის დანართის „დანართი №2 - მოდულებზე დაშვების წინაპირობები და სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია დაშვების წინაპირობები, რომლებსაც უპირატესობა ენიჭება მოდულებში არსებულ ჩანაწერებთან მიმართებით. აღნიშნულ დანართს არ ითვალისწინებს პროგრამა და არც დანართის შესაბამისად არის გაწერილი მოდულზე დაშვების წინაპირობები.
- მოდულის „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა“ ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მითითებული არ არის მოდულის ცვლილების თარიღი.
- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული კოლეჯის რომელი ფილიალისთვის არის დადებული ხელშეკრულება, რთულდება იდენტიფიცირება. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული დაზუსტდეს ან ხელშეკრულებით, ანდა პროგრამით.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

2. სასურველია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებლებს დაამატოს დარგობრივი მოდულის განმახორციელებლები, რადგან პროგრამა მოიცავს 22 პროფესიულ მოდულს.

3. სასურველია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული კომპონენტი ასწავლოს შესაბამისი სამედიცინო პროფილის განმახორციელებელმა. მაგალითად, ექიმი თერაპევტი ასწავლის მოდულს „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, როდესაც მოდულს „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ ასწავლის კვალიფიკაციით მედდა. ასევე, ავადმყოფის მოვლის და შინმოვლის მოდულებს განახორციელებს ექიმი, როდესაც პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებელია კვალიფიკაციით მედდა.

5. პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს არ აქვთ მითითებული, რომ ბიბლიოთეკაში დაცულია მისი ელექტრონული ვერსია. შესაბამისად, სასურველია მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს მითითებული ჰქონდეს, რომ ეს არის ელექტრონული ვერსია.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. წარმოდგენილი სასწავლო გეგმა ცალ-ცალკე მოიცავს ინფორმაციას დამოუკიდებელ საათების, შეფასების და საკონტაქტო საათების შესახებ, თუმცა საკონტაქტო საათებში დაჯამებული სახით არის წარმოდგენილი შეფასებისთვის და საკონტაქტოსთვის გათვალისწინებული საათები. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ცალ-ცალკე წარმოადგენს საათობრივ დატვირთვას, სასურველია საკონტაქტო საათებში არ გაერთიანდეს შეფასების საათები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ავადმყოფის მოვლის მოდული დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ მოდულს „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“. სასწავლო გეგმაში აღნიშნულ მოდულზე დაშვების წინაპირობაა 7 მოდული: „ჰისტოლოგია; ანატომია-ფიზიოლოგია; ბიოქიმია; მიკრობიოლოგია; პათოლოგია; დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში; ფარმაკოლოგია“. ასევე მოდული „ინფექციის კონტროლის საფუძვლები“ დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ მოდულს, როდესაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდულით გათვალისწინებულია შემდეგი მოდულები: „ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია, დოზირების პრინციპები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია“. ასევე, რამდენიმე კლინიკურ მოდულს დაშვების წინაპირობები დაემატა, რაც არ არის განსაზღვრული, გაწერილი სასწავლო გეგმით. შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმაში გასწორდეს მსგავსი შეუსაბამობები.

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით გაწერილია, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გამომდინარე იქიდან, რომ ინდ. გეგმა არ მუშავდება მხოლოდ სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, სხვა შემთხვევებზეც სასურველია გაწერილი იყოს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე.

5. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულება ძალაშია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების (ავტორიზაციის) მოპოვების დღიდან და მოქმედებს სასწავლო მოდულების დასრულებამდე. სასწავლო მოდულების ფარგლებში არ არის ხელშეკრულება გაფორმებული. გაფორმებულია კლინიკური მოდულების ფარგლებში. შესაბამისად, ვხვდებით ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც სასურველია გასწორდეს.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია მიმდინარე წლის 12 აპრილს დირექტორის N02-01-95 ბრძანებით, გაწერილია, რომ როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება ხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა. 7 დღის ვადაში ხორციელდება განმეორებითი შეფასება. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს განმეორებითი შეფასება, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი დარეგულირდეს ისე, რომ ამ ვადაში შეიძლებოდეს შეფასების შედეგების გასაჩივრებაც.

დაწესებულებამ გაითვალისწინოს წინა ავტორიზაციის ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია და ჩანაწერი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებასთან დაკავშირებით გაასწოროს.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ირკვევა, რომ “კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა/სტუდენტმა უნდა დააგროვოს ამ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა”. აღნიშნული ასევე გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვალდებულება, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებული წერილით წარმოადგინა სსიპ კოლეჯის „აისი“ ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელშიც ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვალდებულება და სამუშაოზე დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შუალედური შეფასების (დუალური მიდგომის შემთხვევაში) და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 აგვისტოს N02-01-177 ბრძანებით. აღნიშნული წესით ძირითადად გაწერილია დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების საკითხები, თუმცა სასურველია რეგულაციით, საექთნო საქმის პროგრამისთვის უფრო მეტად იკვეთებოდეს პროცედურული საკითხები. მაგალითად: ვინ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე, ვინ ადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამას, ვინ შედის საკვალიფიკაციო კომისიაში და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

V. [illegible] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 2 მარტის N02-01-49 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	28 პროფესიული სტუდენტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო მოდულური **იხ. დასაბუთება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

წესი დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N02-01-27 ბრძანებით, სადაც გაწერილია თუ როგორ ახდენს კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას. კერძოდ, გაწერილია: როგორ ხდება პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივის წარდგენა; როგორ ხდება პროგრამის მომზადება; რა ტიპის სამუშაოებს ახორციელებს სამუშო ჯგუფი; როგორ ხდება მომზადებული პროგრამის წარდგენა ხელმძღვანელობასთან; როგორ ხდება მისი დამტკიცება და სხვა.

აღნიშნული რეგულაციით ირკვევა, რომ პროგრამის დამატების ინიციატორი შესაძლოა იყოს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ადმინისტრაციის წარმომანდგენელი/ები, პროგრამის განმახორცილებელი პირი/ები, პარტნიორი ორგანიზაცია/ები, კოლეჯის დირექტორი და სხვა. დაინტერესებულმა პირმა (დაინტერესებული პირი შესაძლოა იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი/ები, პროგრამის განმახორციელებელი პირი/ები, პარტნიორი ორგანიზაცია/ები და სხვა) შესაძლებელია წარმოადგინოს კოლეჯის დირექტორის სახელზე არგუმენტირებული მოხსენებითი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. მოხსენებითი ბარათში უნდა ჩანდეს რის საფუძველზე, ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება. შესაძლოა კოლეჯის დირექტორი თვითონ იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის / საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის/შემუშავების ინიციატორი (ინიცირება უნდა ეფუძნებოდეს არგუმენტირებულ მტკიცებულებებს), ამ შემთხვევაში დირექტორი პირდაპირ გამოსცემს ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ. სხვა შემთვევაში, როდესაც თავად არ არის პროგრამის შემუშავების ინიციატორი, შესამუშავებელი/დასანერგი პროგრამების ნუსხა განიხილება კოლეჯის დირექტორის მიერ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. პროგრამის საჭიროებების დასაბუთების შემთხვევაში, მიიღება დადებითი გადაწყვეტილება პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებით. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის, სახელმწიფო ენაში მომზადების და/ან მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამების, ასევე მოკლევადიან სასწავლო ტრენინგ-კურსების, შემუშავებას და/ან ახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას/შემუშავებას. სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს; ჯგუფი კოლეჯის ფინანსურ სამსახურთან ერთად ახორციელებს კოლეჯის მფლობელობაში არსებული რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემულ ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას. ამავე წესით განსაზღვრულია, რომ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ან პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამით გაწერილია ხელმძღვანელის ვინაობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
და წარმოდგენილია ხელმძღვანელის ხელშეკრულებაზე შეთანხმება, თუმცა რეგულაციით არ იკვეთება, თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან შერჩევა, ან დამტკიცება.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპები, განსაზღვრულია ის დოკუმენტები, რომლებიც უნდა დაერთოს პროგრამას. ერთ-ერთ დასართავ დოკუმენტად გაწერილია „ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გაწერილი უნდა იყოს არანაკლებ 3წელზე.“ აღნიშნული ვერ იქნება პროგრამის დანართი. ის შეიძლება იყოს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმის შემუშავებისას გასათვალისწინებელი გარემობა. შესაბამისად, სასურველია რეგულაციაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის და პროგრამებზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი. ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობით საქართველო სრულ ასიმეტრიაში მოდის ევროპის რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, რადგან: 1. თითქმის ორჯერ მეტი ექიმი ყავს საქართველოს, ვიდრე საშუალო ევროპულ ქვეყანას, ანუ დაახლოებით 10,000 ექიმით მეტი; 2. თითქმის ორჯერ ნაკლები ექთანი (საშუალო სამედიცინო პერსონალი), ანუ დაახლოებით 12,500-ით ნაკლები. საექთნო პერსონალის ნაკლებობა კახეთის რეგიონში განსაკუთრებით შეიმჩნევა და მათი რაოდენობა 1.8-ჯერ დაბალია საჭირო რაოდენობასთან შედარებით. პანდემიის დროს, განსაკუთრებით გამოიკვეთა საჭირო კადრების ნაკლებობა. ამ მიმართულებით გამოიკვეთა ისეთი მსხვილი დამსაქმებლებიც (,,ჯეო ჰოსპიტალსი“, შპს ,,ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა“ , საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი), რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში, პრაქტიკული კომპონენტების ნაწილს ჩაატარებენ რეალურ სამუშაო გარემოში და სწავლის დასრულების შემდგომ დაასაქმებენ კურსდამთავრებულებს.

კოლეჯის მისიაა შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მომზადება. სტატეგიული განვითარების 2020-2026 წლების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N02-01-101 ბრძანებით, ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების, ტრენინგკურსებისა და არაფორმალური განათლების ფარლგებში პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და ინტერნაციონალიზაცია. აღნიშნული სტრატეგიული მიზნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ფარგლებში ამოცანები და აქტივობები გაწერილია 2021 წლისთვისაც. შესაბამისად კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც გამომდინარეობს საგანმანათლებლო სტანდარტიდან. დაწესებულებას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განათლებასთან ერთად დამატებით განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, თუმცა გაურკვეველია ამ ჩანაწერის არსებობა, რადგან პირისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ვერ გახდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის მოდულები მოიცავენ ინფორმაციას მოდულზე დაშვების წინაპირობების შესახებ, თუმცა არ არის გათვალისწინებული ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებული ბოლო ცვლილებები. კერძოდ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის N93013 ბრძანებით ცვლილება შევიდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის №407/ი ბრძანებაში. მოდულებზე დაშვების წინაპირობები ნაწილობრივ შეიცვალა, რომლებიც არ არის ასახული მოდულებში. მაგალითად, ჩარჩო დოკუმენტით ფარმაკოლოგიის მოდულზე დაშვების წინაპირობაა ბიოქიმიის და მიკრობიოლოგიის მოდულები, როდესაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდული დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს შემდეგ მოდულებს: ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში. მსგავსი შეუსაბობები არის რამდენიმე თეორიული სწავლების მოდულში. ასევე, ცენტრის დირექტორის ბრძანებით რამდენიმე კლინიკურ მოდულს დაემატა დაშვების წინაპირობად ავადმყოფის მოვლის მოდული, რომელსაც დაშვების წინაპირობად არ მოიცავს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული მოდულები. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტის დანართი N2-ით „მოდულებზე დაშვების წინაპირობები და სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ განსაზღვრულ წინაპირობებთან.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

„აისი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლითაც ირკვევა, რომ კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის რაოდენობა;
- პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა.

დაწესებულების მიერ ასევე განსაზღვრულია, რომ სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის დასაშვებია ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივებთან. მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ერთი სასწავლო გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი კი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, სრულად არ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:

- მოდული „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ მოიცავს საექთნო მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების განმარტებას (მენეჯმენტის ძრითადი ამოცანები; მენეჯმენტის პროცესი; ლიდერობა, სწორი მენეჯმენტი) და ორგანიზაციული ქცევისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ადამიანური რესურსის მენეჯმენტის პრინციპების აღწერას (ორგანიგრამის გეგმა და ინფორმაციის გავრცელების გზები; ადამიანური რესურსის მენეჯმენტი). მოდულით გათვალისწინებულია საექთნო საქმისა და შინაგან სნეულებებთან დაკავშირებული სასწავლო რესურსები. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მოდულში „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ მითითებული სასწავლო რესურსი არასაკმარისია და უკვე მუშაობენ სასწავლო რესურსების დამატებაზე.

- მოდული „უცხოური ენა - საექთნო საქმეში“ ერთ-ერთ სწავლის შედეგად ითვალისწინებს პროფესიასთან დაკავშირებული საკითხების პრაქტიკულ გამოყენებას, ხოლო სასწავლო რესურსად გაწერილია მხოლოდ ზოგადი ინგლისურის წიგნები. უცხოური ენის მოდულის განმახორციელებლის განმარტებით, სასწავლო პროცესში დამატებით გამოიყენებს ინტერნეტში მოძიებულ სხვადასხვა მასალას პროფესიული ტერმინოლოგიის სწავლების მიზნებისთვის. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა პროფესიული ტერმინოლოგიის შესწავლისთვის ელექტრონული სასწავლო რესურსები, თუმცა აღნიშნული რესურსები მოდულში მითითებული არ აქვთ.
- მოდული „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“ ერთ-ერთ სწავლის შედეგად ითვალისწინებს პრეზენტაციის უნარების დემონსტრირებას, თუმცა ამ სწავლის შედეგზე გამსვლელი ქართულენოვანი რესურსი მითითებული არ აქვთ.
- მოდული „ბიოქიმია“ სასწავლო რესურსად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ ბმულს, რომელიც არ წარმოადგენს სასწავლო რესურსს. ინტერვიუირებით ირკვევა, რომ კოლეჯს აქვს ბიოქიმიის სახელმძღვანელოები, თუმცა ისინი მოდულში გაწერილი არაა.

შესაბამისად, მიზანშეწონილია საგანმანათლებლმა რესურსმა სრულად უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, მოდულებში გაწერილი უნდა იყოს ყველა სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო რესურსი.

5. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N118/ნ ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ „აისის“ წესდება, რომლითაც ირკვევა, რომ დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
თებერვლის N02-01-27 ბრძანებით, განსაზღვრულია, რომ სამუშაო ჯგუფის წარდგინებით კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამტკიცების შესახებ. საექთნო საქმის პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 2 მარტის N02-01-49 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. იგი თანხვედრაშია პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დასახელება ასევე არაა შეცდომაში შემყვანი, რადგან პროგრამის სახელწოდება შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას.

8. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა. მოდულების ბლოკში, გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს არაქართულ ენაზე ტესტირების გავლის გზით.

საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა სასურველია მოიცავდეს ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომრის შესახებ, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა. ასევე, სასურველია პროგრამის სტრუქტურა სრულად მიყვებოდეს ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში პროგრამის მიზანი ცალკე პუნქტად გამოყოფილი არაა. ის არის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შემადგენელი ნაწილი. სასურველია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ვერ იქნება პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რადგან ის ჩარიცხვის წინაპირობაა, სასურველია აღნიშნული გასწორდეს პროგრამაში და დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სრული ზოგადი განათლება.
- გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ განსაზღვრა პრაქტიკული სწავლების პროფესიული მოდულების განხორციელების ადგილი, შესაძლებელია პროგრამის სტრუქტურის და მოდულების ნაწილში დაკონკრეტდეს განხორციელების ადგილი და არ დარჩეს შემდეგი ჩანაწერი: „შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კლინიკაში“.
- სასურველია პროგრამაში მოდულთა სტატუსები არ შეიცვალოს და ისინი ზუსტად გამომდინარეობდეს საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტიდან. მაგალითად, პროფესიული მოდულების ნაცვლად, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია „პროფესიული/დარგობრივი მოდულები“.
- პროგრამით განსაზღვრულია, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება ხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით, თუმცა სასურველია ჩარჩო დოკუმენტის მსგავსად გათვალისწინებული იყოს, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით.
- პროგრამა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - ამავე პროგრამაში მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მე-12 პუნქტად გაწერილია შემდეგი: „12. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები“. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა.
- პროგრამას დანართების სახით გაწერილი აქვს მოდულებზე ინფორმაცია. მატერიალურ რესურსებზე ინფორმაციას მოიცავს დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი. გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადი არ არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, პროგრამა დანართის სახით უნდა ითვალისწინებდეს მატერიალურ რესურსზე ინფორმაციას.

- პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ჩანაწერს: „პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება არანაკლებ 75 %-ით.“ ზოგად მოდულებში გამსვლელ ზღვრად გათვალისწინებულია 51%. შესაბამისად, პროგრამასა და ზოგად მოდულებში არსებული ჩანაწერი, სასურველია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს.
- მოდულების დიდ ნაწილში შეფასების მეთოდად გაწერილია წერითი მეთოდი, ხოლო მტკიცებულებად გაწერილია „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება“, თუმცა მტკიცებულებათა დაკონკრეტებისას უთითებს მხოლოდ ერთს - ძირითადად წერილობითი ფორმით მიღებულ მტკიცებულებათა ნიმუშებს. მაგალითად შინმოვლის მოდულს შეფასების მეთოდად გაწერილი აქვს წერითი მეთოდი, ზეპირი გამოკითხვა, ხოლო მტკიცებულად გაწერილია: „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება - წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს და კომპეტენციას“. საექთნო მენეჯმენტის საფუძლებში შეფასების მეთოდად გაწერილია პრეზენტაცია, ხოლო მტკიცებულებად „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება - წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი (ტესტი)“. შესაბამისად, მიზანშეწონილია შეფასების მეთოდი და მტკიცებულებები გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან.
- მოდულის „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ სტანდარტული ჩანაწერები არ მოიცავს მე-5 და მე-6 სწავლის შედეგებისთვის შეფასების მიმართულებებს, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია გაწერილია ჩარჩო დოკუმენტით. სასურველია გასწორდეს მოდულში არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- ქართული ენის მოდულებში გაწერილია, რომ როლური თამაშების სხვადასხვა ეტაპზე დაკვირვების გზით დგინდება პრაქტიკული უნარები და დასტურდება დაკვირვების ჩანაწერის მეშვეობით, თუმცა აღნიშნული არ იკვეთება შეფასების მიმართულებასა და ინსტრუმენტებში.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მოდულთა ნაწილს მითითებული აქვს განხორციელების ადგილი. შესაბამისად, სასურველია არსებობდეს ერთიანი მიდგომა, ან ყველა მოდულს მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი, ან აღნიშნული ინფორმაცია ცალკე დოკუმენტში გაიწეროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 3 თებერვლის N55016 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ქართული ენის მოდულების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 02 ნოემბრის №695 ბრძანებაში და შეეხო მოდულების განხორციელებისა და შეფასების შესაძლებლობების განსაზღვრას დისტანციურ რეჟიმში. აღნიშნულ ცვლილებებზე ინფორმაცია არ არის ასახული მოდულებში. შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიწეროს შესაბამისი შესაძლებლობები.
- სასურველია პროგრამაში მოდულზე დაშვების წინაპირობები გასწორდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის დანართის „დანართი №2 - მოდულებზე დაშვების წინაპირობები და სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია დაშვების წინაპირობები, რომლებსაც უპირატესობა ენიჭება მოდულებში არსებულ ჩანაწერებთან მიმართებით. აღნიშნულ დანართს არ ითვალისწინებს პროგრამა და არც დანართის შესაბამისად არის გაწერილი მოდულზე დაშვების წინაპირობები.
- მოდულის „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა“ ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მითითებული არ არის მოდულის ცვლილების თარიღი.
- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული კოლეჯის რომელი ფილიალისთვის არის დადებული ხელშეკრულება, რთულდება იდენტიფიცირება. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული დაზუსტდეს ან ხელშეკრულებით, ანდა პროგრამით.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის და პროგრამებზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- სტატეგიული განვითარებისგეგმით;
- ჩარჩო დოკუმენტით;
- გასაუბრებით;
- ბრძანებით;
- წესდებით;
- მისიით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება A, B და C გარემო. სასწავლო გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და არსებული რაოდენობის გათვალისწინებით მასში განთავსებულია პროექტორი, დაფა, პროფესიულ სტუდენტთათვის მერხი, სკამი, კომპიუტერი. ასევე პროფესიული მასწავლებლისთვის კომპიუტერი. C გარემოში განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადით წარმოდგენილი აღჭურვილობა. აღნიშნული დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე მიღება-ჩაბარების აქტებით.

კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები გაფორმებულია შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრ“-თან და შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“-თან. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი იღებს ვალდებულებას მიიღოს 14 პროფესიული სტუდენტი და გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის სწავლების პროცესში ჩართული 2 პირი. ინსტრუქტორთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია ხელშეკრულებით. ასევე, გაწერილია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეულ მიღებაზე 14 სტუდენტის მიღებას. შემდგომ დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა შეთანხმება, რომლითაც დაზუსტდა კოლეჯის რომელი ფილიალის პროფესიული სტუდენტების სწავლება განხორციელდება ხელშეკრულების ფარგლებში.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი/ექთანი, თუმცა რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებდა დაწესებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ ისინი შეძლებენ დაახლოებით 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას. დაწესებულებამ შემდგომ წარმოადგინა შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა, რომ კოლეჯის დედოფლისწყაროს ლოკაციის 14 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი.

გამომდინარე იქიდან, რომ კლინიკური მოდულები ხორციელდება წელიწადნახევრის განმავლობაში და 14 კლინიკური მოდულიდან 12 მოდულისთვის გათვალისწინებულია 2 პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომლებიც სწავლებას განახორციელებენ მეორე და მესამე სასწავლო წელს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში, სხვადასხვა მიღების პროფესიული სტუდენტების კვეთის/გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს 28 პროფესიული სტუდენტი, მხოლოდ იმ დათქმით, თუ პირველი მიღების შემდეგ (მხოლოდ 14 პროფესიული სტუდენტი), მიღება განხორციელდებოდა შემდეგი მიღების გამოტოვებით (გათვალისწინებულია მხოლოდ წელიწადში ერთხელ მიღება) და მხოლოდ პროფესიული სტუდენტების მესამე სასწავლო კურსზე გადასვლისას განხორციელდება შემდეგი მიღება.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულია 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან 2 არის ზოგადი მოდულის განმახორციელებელი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ მიზანშეწონილია ყველა მოდულის განხორციელება არ იყოს მხოლოდ ერთ პირზე დამოკიდებული. აუცილებელია პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყოს ერთზე მეტი დარგის სპეციალისტი. სასურველია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებლებს დაამატოს დარგობრივი მოდულის განმახორციელებლები, რადგან პროგრამა მოიცავს 22 პროფესიულ მოდულს.

3. პროგრამის თეორიული კომპონენტისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პირად საქმეებში დაცული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებით დასტუდება მათი კვალიფიკაცია. ინგლისური ენის განმახორციელებელს უმაღლესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
განათლებით არ უდასტურდებოდა კვალიფიკაცია, რადგან პირად საქმეში იდო მხოლოდ სერტიფიკატი. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობა.
სასურველია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული კომპონენტი ასწავლოს შესაბამისი სამედიცინო პროფილის განმახორციელებელმა. მაგალითად, ექიმი თერაპევტი ასწავლის მოდულს „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, როდესაც მოდულს „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ ასწავლის კვალიფიკაციით მედდა. ასევე, ავადმყოფის მოვლის და შინმოვლის მოდულებს განახორციელებს ექიმი, როდესაც პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებელია კვალიფიკაციით მედდა.
პროგრამის კლინიკური კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით. კერძოდ, კლინიკური სწავლების პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნებია შემდეგი:

- საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება;
- საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის A1 დონეზე ფლობა;
- საოფისე პროგრამების კარგი ფლობა.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისათვის განმახორციელებელი მედ პერსონალის შერჩევა. კლინიკის მიერ საექთნო განათლების პროგრამისთვის შერჩეული განმახორციელებელი პირები უნდა შეესაბამებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი/ექთანი. შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კლინიკურ სწავლებაში უნდა ჩართოს შესაბამისი კვალიფიკაციის 2 პირი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 4 პრაქტიკის ინსტრუქტორის პირადი საქმე, რომლითაც დასტურდება მათი განათლება. ერთ პირს დამატებით უდასტურდებოდა სამუშაო გამოცდილება. სხვა დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდებოდა ექთნის მიმართ წაყენებული სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობები. შესაბამისად, კლინიკურ სწავლებაში ჩართულ პირებს სრულად არ უდასტურდებათ საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტითა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხონები.

შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კოლეჯის მიერ დაკონტრაქტებული მედ პერსონალი ვალდებულია კლინიკის ბაზაზე მომსახურება გაწიოს პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ვადებში, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორებთან არ ხორციელდება ხელშეკრულებების გაფორმება.

პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან და პრაქტიკის ინსტრუქტორებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი მზად არის ჩაერთონ პროგრამის განხორციელებაში, რადგან კახეთის რეგიონი განიცდის ექთნების დეფიციტს.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელია ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირი პროგრამის განხორციელების სამივე ადგილზე. პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებით და მის მოვალეობებში შედის:

- პროგრამის განახლებაში მონაწილეობა;
- მიმართვის შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის შეფასების ინსტრუმენტების შედგენაში, კონსულტაციის გაწერა;
- მიმართვის შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის განმავითარებელი ან/და განსაზღვრელი შეფასებისთვის პრაქტიკული დავალებების გაზიარება ან/და მომზადებაში რჩევების მიცემა;
- პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

4 ლეპტოპი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიულ სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია მასსა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც ირკვევა, რომ კოლეჯმა მიიღო საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზებული სახით ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების სარგებლობის უფლება ორ მომხმარებელზე.

ექსპერტთა მიერ, ბიბლიოთეკაში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები და ყველა აღმოჩნდა ადგილზე.

პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს არ აქვთ მითითებული, რომ ბიბლიოთეკაში დაცულია მისი ელექტრონული ვერსია. შესაბამისად, სასურველია მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს მითითებული ჰქონდეს, რომ ეს არის ელექტრონული ვერსია.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N02-01-27 ბრძანებით, მოიცავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. კერძოდ, სასწავლო რესურსების შინაარსობრივ ან ვიზუალურ ადაპტირებას. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები.

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვათა შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

აცხობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი/ები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული,ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს რენტაბელობის ზღვარს, შემოსავლის და ხარჯის სახეებსა და ოდენობას. რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს. ბიუჯეტით ირკვევა, რომ შემოსავლის წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. გაწერილი შემოსავლის ოდენობა სრულად ყოფნის იმ ხარჯს, რომელიც საჭიროა შრომის ანაზღაურების, მასალა-ნედლეულის და სხვა ხარჯებისთვის.

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების აქტით;
- პროგრამის ბიუჯეტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვა. დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის N02-01-139 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა), სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

დემინგის ციკლის მოდელს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების/ მსმენელების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით, ასევე დაინტერესებული მხარეების (შიდა, გარე) გამოკითხვების ჩატარებას.

დირექტორის 2020 წლის 3 აგვისტოს N02-01-182 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,აისი" პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების, თანაშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია. სტუდენტების/მსმენელის კვლევას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პერიოდში, წელიწადში ორჯერ. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი). კვლევა ტარდება, როგორც ელექტრონულად, კითხვარების საშუალებით, ასევე მატერიალური სახით. კითხვარების შეთანხმება ხდება კოლეჯის დირექტორთან და საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის თითოეული პროგრამის სტუდენტთა მინიმუმ 80%.

დაწესებულებაში დაგეგმილია გამოკითხვების ანალიზის შედეგების შეჯამების შედეგების გათვალისწინებით პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების - განვითარების გეგმების/სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით ირკვევა, რომ განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი.

მიღებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება პროგრამებში ცვლილების შეტანა დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს:

- პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში;
- სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს;
- ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარდგენილი წერილობითი სახით. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება. ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების, თანაშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგიით;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. პროგრამა გადანაწილებულია სამ წელზე, ასევე დამატებით განსაზღვრულია ქართული ენის მოდულებისთვის 20 სასწავლო კვირა. ქართული ენის მოდულებს შორის გათვალისწინებულია ერთკვირიანი ინტერვალი. ასევე დაშვების წინაპირობის მქონე მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებულია ინტერვალი.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმა ცალ-ცალკე მოიცავს ინფორმაციას დამოუკიდებელი საათების, შეფასების და საკონტაქტო საათების შესახებ, თუმცა საკონტაქტო საათებში დაჯამებული სახით არის წარმოდგენილი შეფასებისთვის და საკონტაქტოსთვის გათვალისწინებული საათები. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ცალ-ცალკე წარმოადგენს საათობრივ დატვირთვას, სასურველია საკონტაქტო საათებში არ გაერთიანდეს შეფასების საათები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ავადმყოფის მოვლის მოდული დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ მოდულს „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“. სასწავლო გეგმაში აღნიშნულ მოდულზე დაშვების წინაპირობაა 7 მოდული: „ჰისტოლოგია; ანატომია-ფიზიოლოგია; ბიოქიმია; მიკრობიოლოგია; პათოლოგია; დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში; ფარმაკოლოგია“. ასევე მოდული „ინფექციის კონტროლის საფუძვლები“ დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ მოდულს, როდესაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდულით გათვალისწინებულია შემდეგი მოდულები: „ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია, დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია“. ასევე, რამდენიმე კლინიკურ მოდულს დაშვების წინაპირობები დაემატა, რაც არ არის განსაზღვრული, გაწერილი სასწავლო გეგმით. შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმაში გასწორდეს მსგავსი შეუსაბამობები.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად მოახდენს რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის ცვლებით ან/და დისტანციურად დაგეგმვა არის პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს გარკვეული საკითხები, რომლებსაც ასევე გაითვალისწინებენ.

3. პროგრამის შესაბამისი მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული მოდულების განხორციელებისას. თუმცა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სასწავლო რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება, რადგან მოდულები სრულად არ ითვალისწინებს რელევანტურ სასწავლო რესურსს და არც პრაქტიკის ინსტრუქტორებს უდასტურდებათ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისად, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება შემთხვევები, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელება, როგორიცაა მობილობა, ფორმალური განათლების აღიარება, პროგრამაშ ცვლილებების შეტანა და სხვა. სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში ხდება მაშინ, რა ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევვის გარეშე. შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა შეთანხმებით დგება ინდივიდუალური გეგმა.
სასურველია რეგულაციით იკვეთებოდეს, სხვადასხვა შემთხვევებში თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე. აღნიშნული გაწერილია მხოლოდ სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის.
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, რომლებიც გაფორმებულია შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრ“-თან და შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“-თან. ხელშეკრულებები მოიცავს მოდულებზე ინფორმაციას, ექთნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტისა და საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას, პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილებას, პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის განხილვის საკითხის დასმის უფლებამოსილებას. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა იქნება - 1/7-ზე. პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ იტყვის უარს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულება ძალაშია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების (ავტორიზაციის) მოპოვების დღიდან და მოქმედებს სასწავლო მოდულების დასრულებამდე. სასწავლო მოდულების ფარგლებში არ არის ხელშეკრულება გაფორმებული. გაფორმებულია კლინიკური მოდულების ფარგლებში. შესაბამისად, ხელშეკრულებაში ვხვდებით ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც სასურველია გასწორდეს.
დაწესებულების მისამართით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: მიზანშეწინილი იყო შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულიყო როგორც ინსტრუქტორთა, ასევე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში, ერთ ჯერზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. ასევე, პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში სასურველი იყო გამოკვეთილიყო, კოლეჯის რომელი ფილიალისთვის იყო დადებული ხელშეკრულება. აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულებამ გაითვალისწინა და დამატებით წარმოადგინა შეთანხმებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს მიზნებს და ამოცანებს, სისტემურ მიდგომებს, გავრცელების ფარგლებს, რისკების შეფასებას, საფრთეების იდენტიფიცირებას, კონტროლს და ანგარიშგებას. კოლეჯი, როგორც დამსაქმებელი და საგანამანთლებლო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულება უზრუნლელყოფს შრომისთვის და სწავლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას დასაქმებულებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, მსმენელებისთვის. ასევე, საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების და პირადი ჰიგიენის ნორმები. კერძოდ გაწერილია შრომის უსაფრთხოების საერთო ნორმები, შრომის უსაფრთხოება სამუშაოს დაწყების წინ, შრომის უსაფრთხოება მუშაობის პროცესში, შრომის უსაფრთხოება ავარიულ სიტუაციაში და შრომის უსაფრთხოება სამუშაოს დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N02-01-27 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის, შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია, რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს, რა ვადებში ხდება ნამუშევრის გასწორება და შეფასება.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია მიმდინარე წლის 12 აპრილს დირექტორის N02-01-95 ბრძანებით, გაწერილია, რომ როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება ხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა. 7 დღის ვადაში ხორციელდება განმეორებითი შეფასება. გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
იქიდან, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს განმეორებითი შეფასება, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი დარეგულირდეს ისე, რომ ამ ვადაში შეიძლებოდეს შეფასების შედეგების გასაჩივრებაც.
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ირკვევა, რომ "კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა/სტუდენტმა უნდა დააგროვოს ამ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა". აღნიშნული ასევე გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვალდებულება, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებული წერილით წარმოადგინა სსიპ კოლეჯის „აისი" ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელშიც ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვალდებულება და სამუშაოზე დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შუალედური შეფასების (დუალური მიდგომის შემთხვევაში) და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 აგვისტოს N02-01-177 ბრძანებით. აღნიშნული წესით ძირითადად გაწერილია დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების საკითხები, თუმცა სასურველია რეგულაციით, საექთნო საქმის პროგრამისთვის უფრო მეტად იკვეთებოდეს პროცედურული საკითხები. მაგალითად: ვინ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე, ვინ ადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამას, ვინ შედის საკვალიფიკაციო კომისიაში და სხვა.
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებულია შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგიით გაწერილია თუ ვინ შეიძლება შედიოდეს ვერიფიკაციის ჯგუფში, რა ფუნქცია-მოვალეობები აქვს ჯგუფს და ჯგუფის ხელმძღვანელს.
კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:

- კოლეჯის დირექტორის მოადგილე ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;
- პროგრამის ხელმძღვანელი ან/და წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- სასწავლო დარგის მენეჯერები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

- შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის რომელიმე წევრის ინტერესთა კონფლიქტს არ იწვევს ვერიფიკაციის ობიექტი.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით გაწერილია, რომ შიდა ვერიფიკაცია ჩატარდება შესაბამისი წევრების ჩართულობით ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი წევრის მოწვევის საფუძველზე.
შიდა შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს სამ ეტაპს: შეფასებამდელი; შეფასების პროცესი და შეფასების დასრულების შემდეგ.
შიდა შემოწმებისას (ვერიფიკაციისას) არ განიხილება ყველა სტუდენტის მტკიცებულებები, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნიმუშების შერჩევა იმისთვის, რომ თითოეული მოდულის ფარგლებში დადგინდეს, თუ რამდენად თანამიმდევრულ შეფასებას აკეთებენ მასწავლებლები და რამდენად იცავენ ისინი სტანდარტებს.
არ მოწმდება ყველა სტუდენტის ნამუშევრი, მაგრამ თუ შიდა შემმოწმებელმა (ვერიფიკატორი) შეფასების პროცესში დააფიქსირა გარკვეული შეუსაბამობა ან და ხარვეზი სტანდარტის დაცვასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, შეფასებისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა. შერჩევის მოცულობა დამოკიდებულია ჯგუფში სტუდენტების რაოდენობაზე. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის ყოველი ეტაპი დოკუმენტირებულია. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ყველა ეტაპზე კეთდება ჩანაწერები.
შეფასების პროცესის ბოლოს ტარდება განხილვა, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას. ასევე იმას, რომ ყველა ხარვეზი, რომელიც შიდა შემმოწმებელმა (ვერიფიკატორმა) გამოავლინა, კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის იქნას გამოსწორებული. ამგვარი განხილვებისთვის დღის წესრიგი მზადდება წინასწარ.
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვასა და განკარგვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კერძოდ, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ინახება სასწავლებელში სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით. აღნიშნული პროდუქტი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" შესაბამისად.
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია, რომ სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურების შესახებ გადაწყვეტილებას მოდულის განმახორციელებელი პირი იმავე დღეს ასახავს შეფასების უწყისის ფორმაში და ერთი დღის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ვადამდე აცნობს სტუდენტს. შედეგების გაცნობის ალტერნატიულ ფორმას არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებელი იმგვარად, რომ არ დაირღვეს თითოეული პროფესიული სტუდენტის უფლებები. ალტერნატიულ ფორმას პროფესიული განათლების მასწავლებელი ათანხმებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან/ებთან, რის თაობაზეც აკეთებს შესაბამის ჩანაწერს შეფასების ინსტრუმეტში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგით;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	28 პროფესიული სტუდენტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

გამომდინარე იქიდან, რომ კლინიკური მოდულები ხორციელდება წელიწადნახევრის განმავლობაში და 14 კლინიკური მოდულიდან 12 მოდულისთვის გათვალისწინებულია 2 პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომლებიც სწავლებას განახორციელებენ მეორე და მესამე სასწავლო წელს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში, სხვადასხვა მიღების პროფესიული სტუდენტების კვეთის/გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს 28 პროფესიული სტუდენტი, მხოლოდ იმ დათქმით, თუ პირველი მიღების შემდეგ (მხოლოდ 14 პროფესიული სტუდენტი), მიღება განხორციელდება შემდეგი მიღების გამოტოვებით (გათვალისწინებულია მხოლოდ წელიწადში ერთხელ მიღება) და მხოლოდ პროფესიული სტუდენტების მესამე სასწავლო კურსზე გადასვლისას განხორციელდება შემდეგი მიღება.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
22.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---